

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და შაჰდენიზის
მილსადენების სეისმოტექტონიკური
ვითარება, საშიშროების და რისკის
შეფასება**

*ალექსანდრე გვენცაძე; გეოლოგიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჭავჭავაძის გამზირი, 0128 თბილისი, საქართველო.
aleko.gventsadze@tsu.ge*

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და შაჰდენიზის მილსადენების საშუალებით ხორციელდება ბუნებრივი გაზის და ნავთობის ტრანსპორტირება ქალაქ ბაქოსთან მახლობლად მდებარე ტერმინალებიდან, საქართველოს ტერიტორიის გავლით თურქეთში.

კასპიის ზღვის რეგიონი მდიდარია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მარაგებით, თუმცა პროდუქტების ბაზრამდე მიწოდების შესაძლებლობა შეზღუდულია. აზერბაიჯანში, კასპიის ზღვაში არსებული საბადოების დამუშავება დამოკიდებულია ბაზრების იდენტიფიკაციაზე, თურქეთს და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებს გააჩნიათ გაზის და ნავთობის მზარდი მოთხოვნილებების შიდა ბაზარი, და ამასთანავე, საკმარისად ძლიერი ეკონომიკა გრძელვადიანი გადახდების ვალდებულების უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივი აირის და ნავთობის აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით ხმელთაშუაზღვის რეგიონში ტრანსპორტირების კონცეფცია განისაზღვრა როგორც კომერციული და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება, რომელიც სრულ შესაბამისობაშია იმ მთავრობათა კურსთან, რომლებსაც ემყარებიან სამხრეთ კავკასიის მილსადენების მფლობელები. მილსადენის საშუალებით ნახშირწყალბადების ტრანსპორტირება ზოგადად მიჩნეულია ყველაზე უსაფრთხო, ეკონომიკურად ეფექტურ და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით გამართლებულ მეთოდად, ხოლო ტრანსპორტირების მარშრუტები საქართველოსა და თურქეთის გავლით, კომერციული თვალსაზრისით კონკურენტუნარიანია.

პროექტების განუხორციელებლობის ვარიანტი უკუგდებულ იქნა ფინანსური, ეკოლოგიური და სოციალური მოსაზრებებით, რადგან პროექტის დადებითი ეფექტები ბევრად აღემატება ნებისმიერ შესაძლო უარყოფით მოვლენას. მართალია, პროექტების განუხორციელებლობის შემთხვევაში არ ექნებოდა ადგილი მშენებლობითა და ექსპლოატაციით გამოწვეულ პოტენციურ ნეგატიურ ზემოქმედებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, მაგრამ იმავდროულად არ მოხდებოდა პოტენციური დადებითი ეფექტების, მათ შორის საქართველოს მიერ გაზის ტრანზიტის შედეგად ფინანსური მოგების რეალიზაცია. პროექტების განუხორციელებლობა ნიშნავდა მისი მიმდინარეობისას წარმოქმნილ ცალკეულ ზრდად სოციალურ სარგებელზე (დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები, სხვა სახის საზოგადოებრივი სარგებელი) უარის თქმას.

ზემოთ აღნიშნულის გამო, მიუხედავად იმისა რომ საკმაოდ კარგად არის შეწავლილი მილსადენების მარშრუტი, აქტუალური ხდება ტრანსკავკასიური ენერგეტიკული კორიდორის ბუნებრივი გარემოს (გეოლოგია, გეომორფოლოგია, სეისმოტექტონიკა) მუდმივი მონიტორინგი, საშიშროების და რისკის შეფასება.